



# თეატრი სსსრს



სათეატრო-სალიტერ. ჟურნალი

№ 50 — 1916  
კვირა, ქრისტე. 11

წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-  
ბა ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“  
Иос. Имедашვილი. პირისპირ: „სორაპნი“-ს სტამბაში

წულ. მიმოსხმვაში  
გამოსვლისა 15 კ.


მიიღება ხელის მოწერა  
დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.



მამ. ასული მსახიობნი  
ვასო და ტასო აბაშიძენი

## მ. ნაარსი

- 1, ივ. გომართელი — თეატრი . . . . . 2
- 2, მარიჯან — სკრამპა . . . . . 4
- 3, ა. ჭელიძე — ქუჩაზე . . . . . "
- 4, ანნა ვენეცკისა — ერთადერთი შვილი . . . 5
- 5, ჰაზირა — აშუღების აღათი და ჩუქულება . . .
- 6, ჩაქური — წერილები მეგობართან ქართულ  
მუსუღმანთა შესახებ . . . . . 7
- 7, ვასილ პირვილიძე — ქართულ თეატრის შე-  
სახებ . . . . . 7
- 8, გ. ჯ. ბაური — სახალხო თეატრის ისტორია  
ნაძალადუის თეატრი . . . . . "
- 9, გ. ტაბიძე — ჩემი მადონნაჟი . . . . . 8
- 10, ს. ვლევ აბულაძე — სატრფოს . . . . . "
- 11, ფ. რუშველი — მარტობა . . . . . 9
- 12, გრ. საქარიძე — მოსე მწერალი პიესა  
ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან (გაგრძელება) . . .
- 13, მირ. ხარბელი — დედა, (გაგრძელება) . . . 11
- 14, სახიობა, წვრილი ამბები . . . . . "





# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

(ეურნალი ორი პრემიით 8 მან. დაწვრილებით იხილეთ განცხადება)

## თეატრი II

არ განგიცდია, მკითხველო, ერთგვარი უსიამოვნო გრძობა:

ზაფხულის გახურებულ ღღეში ცა ნელა-ნელა მოიბურება ტყვისფერი მძიმე ღრუბლებით, მზე დაიმალება, სიო არ იძვრის, ჰაერში სიცხეა გამდგარი. ასე გგონიათ, თითქოს ბორკილებით იყოთ შებოჭვილი და დედამიწაზე მიმაგრებული მთელი სიმძიმე ამ ღრუბლებისა კი თქვენ გაწვებოდეს; სუნთქვა გიძნელდებათ, გინდათ სადმე გაიქცეთ, მთლათ მოსწყდეთ დედამიწას, ასცილდეთ ღრუბლებს და თავისუფლად გაინაწიროთ ცის სივრცეში. მწარე სინამდვილე-კი ჩაგჩიჩინებთ, რომ თქვენც არაბანი ხართ, მონა მიწისა, მიწაზე დალოლიაობთ და მიწამ უნდა შეგქამოსთ—ვერც ცოცხალი მოსცილდებით მას, ვერც მკვდარი.

ამგვარი უმწყო მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ბუნებამ ადამიანს საუცხოვო კარი დაუტოვა; ეს კარი რომ არა, მართლაც ჩვენი არსებობა ხშირათ აუტანელი იქნებოდა და ცხოვრება—საშინელება.

ეს კარია—ოცნება.

ყოველივე ამოა და წარმავალი—ახალგაზრდობა, სიღამაზე, სახელი, სიმდიდრე ყოველივე კვდება, ჰქრება, ისპობა, იკარგება, მხოლოდ ოცნებაა უკვდავი, უქნობი, მარად მშვენიერი.

ოცნება ცხოვრების სამკაულია. ოცნება რომ არ იყოს, ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში საშინელი სატანჯველი იქნებოდა. ოცნება ადამიანს ამალღებს, სულს უტკობს, გონებას უფაქიზებს.

ოცნებამ მისცა ადამიანს სარწმუნოება, ხელოვნება; ოცნებამ ასწავლა მას სიმღერა, ცეკვა, სიყვარული.

ოცნება შემოქრილია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერ ნახავთ ადამიანს, რომ უოცნებოთ ცხოვრებდეს.

ჭირისუფალი, რომელიც თავის მკვდარს დასტირის, ოცნებობს: მას სჯერა, ან უნდა

დაიჯეროს რომ სიკვდილს იქით რაღაც არსებობს.

ხელოვანი, რომელიც ჰქმნის, მუდამ ოცნებობს, მსახიობი, რომელიც თამაშობს სცენაზე. ოცნებობს, მომდერალი, მუჟუსიკე, მოცეკვავე, დედა, რომელიც შვილს უაღერსებს, ვაჟი, რომელიც თავის სატრფოს წერილსა სწერს,—სულ ყველა ოცნებობენ.

მეკურტნე მუშა, რომელიც დღიურ მონაგარს ითვლის და ოფის იწმენდს შუბლზე, განა ის კი არ ოცნებობს?

ჩასუქებული ვაჟარი, რომელიც თავის სიმდიდრეს ითვლის, განა არ ოცნებობს?

ოცნების დიდი ტაძარი—თეატრია.

ხელოვნების ტაძარიო, გამისწორებს მკითხველი.

— ხელოვნებაში იმდენათ არის ჩაქსოვილი ოცნება, რომ გამოყოფა შეუძლებელია. თვით ის სინამდვილე, რომელიც ხელოვნებაშია, ოცნების ქურაშია გატარებული და ფერწახებული.

და ამიტომ თეატრი იმდენათვე არის ოცნების ტაძარი, რამდენათაც ხელოვნებისა.

რა მნიშვნელობა აქვს თეატრს?

ის, რა მნიშვნელობაც აქვს ოცნებას, ხელოვნებას.

აფაქიზებს ჩვენს გრძობას, ამალღებს ჩვენს სულს, ალამაზე'ს იმ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ უპყრივართ ბრკყალებში როგორც მიწინას გნოლია პოეტის თქმისა არ იყოს, და სასიცოცხლო სამოქმედო ძალასა გვმატებს.

საჭიროა, რომ ადამიანს სიცოცხლე უყვარდეს, მაგრამ სიკვდილისა კი არ ეშინოდეს; საჭიროა, რომ ადამიანი ღირსეულათ ატარებდეს ადამიანის სახელს.

ამგვარ შიზანს სხვათაშორის თეატრი ახო-რციელებს.

უბრალო გასართობიც რომ იყოს თეა-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ტრი, ყოველ შემთხვევაში ის გონივრული გასართობია, ადამიანის გულსა და გონებას წრთვნის,—მაშასადამე ამ თვალთსაზრისითაც ის არის ფრიად საქირო კულტურული დაწესებულება. დღეს კულტურულ ერთ არასგზით ჩაითვლება ის ერი, რომელიც ეროვნულ თეატრს მოკლებულია.

ეროვნული თეატრი მართლ შენობა კი არ არის,—ეროვნული თეატრია მსახიობი, დრამატურგი, რეპერტუარი და ბოლოს შენობა.

ცალიერი შენობა ეროვნულ თეატრს ვერ შექმნის. ხოლო თუ მსახიობია და დრამატურგი,—ეროვნული თეატრიც არის.

რასაკვირველია, შენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. შენობის უქონლობა აფერხებს ეროვნული თეატრის საქმესა და განვითარებას.

მაგრამ მსახიობსა და დრამატურგს მეტი მნიშვნელობა აქვთ.

ქართული თეატრის დაწვა დიდი უბედურება-კი არ იყო, დიდი დანაკლისი იყო ჩვენ მართლა და მართლა არც იმდენათ ღარიბი ვართ, რომ სამას-ოთხასი ათასი მანეთის დაკარგვა ეროვნულ უბედურებათ დავსახოთ.

ხოლო ჩვენ რომ ვერ შევქმენით დღემდე სულ უბრალო პირობები ჩვენი დრამატურგებისა და მსახიობების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ეს კი უბედურებაა.

გედევანიშვილის „სინათლე“ მგონი თექვსმეტჯერ მაინც დაიდგა ერთი სეზონის განმავლობაში. საარაკო ბედია ქართველი დრამატურგისათვის

მერე რამდენი მიიღო ასეთი ბედის მწერალმა?

შიუკაშვილს საკმაოთ დიდი ნიჭი აქვს დრამატურგისა. უმეტესი დრო სპეციალურ შრომას უნდა მოანდომოს სასწავლებელში და შემდეგ დადლილი და მოქანცული უნდა შეუდგეს თვისი სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებას.

რამიშვილი თვალსაჩინო ნიჭია. მთელი დღე და ზოგჯერ ღამეც ავადმყოფებს უნდა მოანდომოს და დადლილი და დაქანცული უნდა მიუხდეს საწერ მაგიდას.

გარწმუნებთ, არც შიუკაშვილს, არც

რამიშვილს არ მიუღიათ თავის პიესებშიც დენი, რომ ქალღმერთის ფასათ ჰღიორდეს.

განათლებული ახალგაზრდობა მსახიობობას გაურბის.

რატომ?

იმიტომ რომ ეს ოხერი კუჭი ყველასა აქვს.

მე კარგათ ვიცნობ ერთ განათლებულ ახალგაზრდას, რომელსაც საკმაო ნიჭი აქვს რეჟისორობისა, დიდი სურვილი და საკმაო მომზადება.

მერე?

— რა ვქნა, ქართული სცენა ვერ მარჩენს და იძულებული ვარ, სხვა საქმეს მოვკიდო ხელით.

მტყუანია? შემცდარი?

როგორ შეიძლება მისი გამტყუანება? ის ხომ ფუფუნებას არა თხოულობს, განცხრომას ხომ არ ეძებს,—ის ითხოვს მინიმუმს, ურომლისოთაც შეგნებულ ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია და ჩვენი სცენა ამ მინიმუმსაც ვერ აძლევს მას.

ქართულ თეატრს სათავეში უდგია გამგეობა.

დადგება არჩევნების დრო და ძველ გამგეობას დამნაშავეის სკამზე ვსვამთ. ასე იყო და ასე არის,—ერთი და იგივე უცვლელათ მეორდება.

მე თვითონ ვიყავი ერთ დროს გამგეობის. წევრათ თოთხმეტი საათი დღეში სპეციალურ სამუშაოს უნდებოდი და შემდეგ მივდიოდი სხდომაზე.

რა უნდა გამეკეთებია? დადლილ და მოქანცულ ადამიანს განა ნაყოფიერი შრომა მოეთხოვება.

უსასყიდლოთ შრომა მხოლოდ მდიდარს შეუძლია, ჩვენში კი მდიდარი ძალიან ცოტაა. მაშ რა უნდა ვქნათ?

უწინარეს ყოვლისა უსასყიდლო შრომა უნდა მოისპოს.

ჩვენში მსახიობიც, დრამატურგიც, დრამატიული გამგეობის წევრიც,—ყველანი უსასყიდლოთ შრომობენ ასეთ პირობებში დღევანდელ დღეს ნაყოფიერი შრომა შეუძლებელია.



აბა მიეცით გედევანიშვილს, შიუკა-  
შვილს, რამიშვილს ყოველ პი საში სა-  
კმავეო ჯილდო არა ნაკლებ თი თუმ-  
ნისა თითო მოქმედებაში — მაშინ ისინი  
სავალდებულო სამუშაოს შიამცილებენ და  
მეტ დროს წერას მოანდომებენ; მაშინ გა-  
რ წმუნებთ, მათი შრომა უფრო ნაყოფიერიც  
იქნება, უფრო ღირსები ნიც. დაუნიშნეთ გა-  
მგეობის ზოგიერთ წევრს მაინც ჯამაგირი.  
მაშინ გამგეობის შრომაც უფრო ნაყოფიერი  
იქნება.

გიღეო რეჟისორებისა და მსახიობთათვის  
საკმაო თანხა, ნიჭიერი რეჟისორებიც მუღმო-  
ვა გვეყოლება. განათლებული მსახიობებაც.  
ამ მხარეს ჩვენი თეატრისას გაცილებით

მეტ მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შენობას.

ჩვენ კი ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას  
ვაქცევთ და, თეატრი რომ დაიწვა, ლამის შა-  
ვები ჩავიცვით.

სადა გვაქვს საამისო ფულიო, მეტყვიან.  
როცა არა გვაქვს, საყვედურებსაც თავი  
უნდა დავანებოთ.

თუ გვექნება, მაშინ ეს ფული მარტო  
შენობას კი არ უნდა მოვანდომოთ, არამედ  
უნდა შექნათ ერთგვარი ფონდი ჩვენი ღრა-  
მატურგებულს, მსახიობების და საზოგადოთ სცე-  
ნის მსახურთა ცოტაოდენი რიგიანი უზრუნ-  
ველ ყოფისათვის.


ი. კ. მთელი

# სკრიპსა

ცივა. ღამეა. წვიმა ოღნავ სტრის,  
სევდა კაეშანს სუყველასა ჰგვრის.  
არსად იმედი არვის უცინის,  
ცასთან ერთადა მიწაცა სტირის.  
უცბათ... დაირღვა სიჩუმე ბნელი:  
შენ სკრიპკას ოღნავ ჩამოჰკარ ხელი,  
სიმი აკვნესდა, აკვნესდა ველი,  
თვალცრემლიანი ვისმენ და გელი...  
შენ მაგ მუსიკას ტანჯვა ჩაართვი,  
გატეხილ ღამის ნაფიქრი შავი,  
სულის გოდება, შხამით ნალესი,  
და მოხუცს დედის ამონაკვნესი.  
დასტირის სკრიპკა... ხმა ისმის ნელი,  
ირგვლივ სიჩუმე... ღამეა ბნელი;  
შენ დააფრქვიე სიმებზე ცრემლი:  
შესწყდა მუსიკა, მუსიკა მწველი!  
მხოლოდ ერთი წუთსა. და ისევ ძველი  
გაისმა ტანჯვა სასტიკი, ძნელი.  
კმარა! შეჩერდი! არ შემოძლია!  
ოხ, სინამდვილემ ოცნება სძლია.  
და მაგ მუსიკამ მთლად დაარღვია  
ჩემი ოცნების ქრელი არშია..

მარიჯან

აჯიკენტი. ივნისი 1916 წ.



# ქუჩაზე

— გაიკითხეთ საწყალი ადამიანი, შიშვე-  
ლი, უთვისტომო და უნათესავო, მიეცით შეძ-  
ლება მწარე სიცოცხლე ატაროს კიდევ მცირე  
ხანს...

— ა—ა, რა სთქვი?

— მუღმივი და აუტანელი ჯაფის გამო  
საუბედუროთ დავკარგე შრომის უნარი და  
ქვეყნისთვის მეტ ბარგად გავხდი... გამიკითხეთ.

— გაიმეორე.

— მშიერი ცოლშვილი ცრემლიანი თვა-  
ლებით ელიან ჩემს მისვლას. სცივათ. კონკის  
ძველებს აკერებენ და თან დასტირიან თავიანთ  
უბედობას...

— არ მესმის. ვერა გავიგე—რა!

— ყრუსთვის ზარს მეორედ აღარ დარე-  
კენო.

— რაიო, ყრუსთვისო?! პოლიციელო!  
წაიყვანე ეს არამზადა, ქუჩის თავხედი, და ღი-  
ლამდე არსად გაუშვა გენმის?!

— მესმის, თქვენო კეთილშობილებავ.  
ახლავე შევესრულებ.

ა. ჭელიძე.



# ერთად ერთი შვილი

(სურათი)

შემოდგომის პირია. სიცოცხლე სჩქევს. ყველა რომ გამალებით მუშაობს, ზამთრის საზრდო შეიტანოს, მხოლოდ მარინესათვის-კი არავინ არასა ფიქრობს; ის ოთხ კედელ შუა ზის დაძმარებული, უიმედოთ გამოიყურება და ხშირად ამოიძახებს ერთსა და იმავე სიტყვებს:

— ახ, შვილო, სადა ხარ, სადაა, დედა გენაცვალოს, ჩემო იმედო, ჩემო მარჩენალო, ერთად ერთო, დედის ერთა შვილო ივანე!.. აგერ ერთი წელიწადია, რაც შენს დასაბრმავებელ დედას მოგაშორეს შვილო! ნეტაი ვიცოდე, ცოცხალი შეყხარ, თუ არა? ვინ იცის მტრის ტყვიამ გაგიგშირა გული სადმე, უდაბურ-ტყე-ღრეში გდინარ უპატრონოდ და შენმა დასაბრმავებელმა დედამ-კი არა იცისრა, თავს არ გვევლება და წყლულს არ გიხვევს!.. ივანე, შვილო ივანე.

მარინეს მოხუცი ქმარი ბესარიონი კი ყოველთვისინ ერთსა და იმავე ადგილსა ზის და მიწას ჩასჩერებია, ჩუმად, თითქოს იქიდან უნდა ამოიკითხოს ივანეს ამბავიო. ის არც ტირის, არც არავის პასუხს აძლევს, ვინ იცის საით მიჰფრენს მისი ფიქრი? ბესარიონს თვალის აკლია, მუშაობა სულ არ შეუძლია, რომ თავის შრომით მოინაგროს საჩო-საბადი. სახლში კი არა მოეპოვება რა: არც პური, არც ფული. ივანეს შეზიდული საზღო დიდი ხანია გაათავეს და ხშირად სიმშლითაც კუჭი ეწვებათ, მაგრამ თვისი გაჭირვება არ ასხოვთ, ოღონდ ივანეს ამბავი ვინმემ ამცნოს.

აგერ ვილაცამ წერილი მოუტანათ. მარინე სიხარულით ცას დაეწია.

— აჰა, სალომე, ჩქარა წამიკითხე რა სა მწერს ჩემი ბიკიკო?— მიმართა მარინემ მზობელს.

სალომემ გადახია კონვერტი და კითხვა დაიწყო:

„საყვარლო დედავ და მოხუცო მამავ! თქვენი ღარიბ მაქვს, იყავით კარგად. მე ცოცხალი ვარ, დიდი ხანია ლაზარეთში ვწევარ: ზარბაზნის ყუმბარამ ორივე ფეხი მომწყვიტა და მარცხენა ხელიც აღარა მაქვს. ახლა თქვენ-

თვის იზრუნეთ, მე კი მკვლარი მიგვლნის. ასეთი მახინჯი მინდ ვეღარ მოვალ, ყველა დამცინებს. მშვიდობით სამუდამოთ.“

ამ სიტყვების გაგონებაზე მარინეს სახე გაებერა, თვალები თითქოს უნდა გადმოსცვივდესო. შემზარავად შეჰღმუვლა და უგონოდ დაეცა; მიხუც ბესარიონს-კი თითქოს ჩაეძინაო, გაუნძრევლად მიესვენა ბუხართან კედელს...

ანა გენეცისა.

## აშუღების ადათი და ჩვეულება

როდესაც რომელიმე აშუღი თავის ქვენიდან სხვა ქვეუნიში მიდის, უგვევლად უნდა ნახოს იმ ქვეუნიის აშუღი, რომ ერთმანეთი სცადონ. აი, იმათი ცდა და შეჯობება.

გამართავენ მარაქას\*) აუარებელი ხალხი შემოერტყევა გარსა. ეს ორი აშუღი უკრავს და მღერის კათხვა-მიკებიო. აქ კათხვა შინაურ აშუღს ეკუთვნის, გარედ ან შოსუღმა კი უნდა უზასუხოს. აი, ამრიგად:

შინაური აშუღი:  
კეთილი იყოს შენი შოსუღა აშუღო,  
შითხარ, თქვენი ქვენიდან რა ამბავი გაქვს?  
მე მსურს გამოგცადა სხვა დასხვა რიგათ,  
უნდა მიზასუხო, თუ რომ თავი გაქვს.

გარედან შოსუღი აშუღი:  
კეთილი მოგცეს ღმერთმა აშუღო,  
მე ჩემი ქვეუნიის ამბავი ავი მაქვს;  
მცაღე რამდენიც შენ შეგიძლიან,  
შენთვის ჰასუხი მწარე და მწვაფი მაქვს.

გარდა ამ წუობილობით ჰასუხასა, სიტყვებისაც-კი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან კავშირი. თუ რომ შეიძლო ამნაირათ ჰასუხის გება, მაშინ გარედან შოსუღს აშუღს ეკუთვნის კათხვა, შინაურს—კი ჰასუხი. თუ რომ შეიძლო ჰასუხის გება, მაშინ რიგდებიან და ჰკონდიან ერთმანეთს. აშუღი შოსუღად მაშინ ატებს და მარცხდება, როცა ღექსით ვერ აძლევს ჰასუხს.

ანის კიდევ ამ გვარი შეჯობება. ერთი აშუღი ქალაღდზე სწერს გამოტანას,

\*) მარაქა—შეკამათება სიმღერა-ღვესებით.



ნემსით მიაკრავს ერთ ძვირფასს შალზე, დაჭკი-  
ლებს უაფხანაში კედელზე, სხად თაყს იურთან  
და სამარაქათ სხდებთან სხვა და სხვა მხრის  
აშულებო, გაიმართება კამათი, დაკვრა და ლექსე-  
ბით ძებნა გამტანისა. უაფხანა იყსება ხაღხით  
და ბლამა ფუდიც კრავდება აშულებისთვის...

ვინც რა გამოცანას იპოვის, შადიც იმი-  
სი იქნება და მოკრავიცი ფუდიც, თუ არა და  
რჩება პატრონს. გამოცანის პოვნაც ადვილი არ  
არის.

აი, რა ანგარიშია დაწერილი:

მაგალითად საათი რომ ახლად გამოიკო-  
ნეს, ერთმა აშუდმა საათზე ასეთი გამოცანა და  
სწერა: „მე დღეს ერთი რაღაცა ვნახე, ერთთავად  
დადიოდა, მიდიოდა-მოდიოდა, დაუსვენებლად,  
ხან ზარით ხმას იღებდა, ხან უბნად დახუმი-  
ლებდა და კრინტს არა სძრავდა... კვ რინტით  
ათი იყო, მაგრამ მაგ ათს თერთმეტი აკლდა.  
გაიგე ეს რა არი, აშუდო?“

იმის სახელსაც ამ ანგარიშით ჰკითხავს:  
„ხმა სამი, ასო ხუთი და ეს ოთხი ასო რამდენს  
თვლას შეადგენს...“ შეიძლება ამ სამი ხმით ხუ-  
თი ასოთი და (ქორთნიკოს) თვლით სხვა სახე-  
ლიც გამოვიდეს, გარდა საათისა, მაგრამ უნდა  
ერთმანეთსა და საათის მოქმედებას ეთანხმებო-  
დეს. ვსთქვათ საათი იპოვეს და ამ ანგარიშით  
გერ დაუშტკიცეს, კვიც არაფერი. მაშასადამე  
საათიც უნდა ახსენოს და ზემოხსენებული ან-  
გარიშითაც უნდა დაამტკიცოს. ეს გამოცანა სა-  
იდუმლოთ უნდა იცოდეს უაფხანო. \*)

დუქსით მიძინელი ახსენებს გამოცანის  
სახელს თუ არა, მაშინვე უაფხანო დაჭკრავს უესტ-  
ზე მაშას, რომელიც ეჭირება მარად ხელში და  
დაიძახებს: „დადექით, იპოვნა!“

მაშინ გამოცანის პატრონს მისთვის სა-  
მი ხმით ხუთი ასოთი და ქორთნიკოს ანგა-  
რით დაამტკიცებას.

პაწირა

\*\*) უაფხანო—უაფხანის პატრონი.



## წერილები მეგობართან

### ქართველ მუსულმანების შესახებ

ქართველ ქრისტიანთა შორის, სამწუხა-  
როდ, არიან ისეთნი, რომელნიც დღესაც კი  
ქართველ მუსულმანებს „თათრებს“ ეძახიან.  
ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ ამ საბრალოებს, რომ  
არსებობს ერი და ამ ერს შეუძლია ჰქონდეს  
სხვა და სხვა სჯული.

ერთმორწმუნოება დღეს ძალადობის სატრ-  
ფილო მოძღვრებაა. . . სარწმუნოება, სჯული  
სინილისის საქმეა... მე შემიძლია ვიყო მუ-  
სულმანი სჯულით. ხოლო ტომით, სისხლით,  
ენით, სხეულით—**ქართველი**...

**ქართველობა** სრულიადაც არ ნიშნავს  
**ქრისტიანობას**... ქრისტიანები არიან რუსე-  
ბიც, ბერძნებიც, ფრანგებიც, გერმანელებიც  
და სხვა... ნუ თუ ყველა ესენი ქართველე-  
ბია?! ქართველობა—ეროვნობის, გვარტო-  
მობის მაჩვენებელი სახელწოდებაა.

მუსულმანობა და თათრობაც ერთი არაა.  
მუსულმანის სჯულის არიან: არაბები, ეგვი-  
პტელები, იაპონელები, ქართველები, ყაზა-  
ნელი თათრები და სხვანი...

სირცხვილი იმ ქართველს, რომელიც  
ქართველ მუსულმანებს დღესაც „თათრებს“  
ეძახის... მათთან კავშირს და დახლოებას  
გაურბის.

ამას წინად შეგხვდი ერთ ქართველ  
ქალს, რომელიც ცოლად გაჰყვა ქართველ  
ინტელიგენტ-მუსულმანს... შეტად დალონ-  
ბული იყო იმის გამო, რომ თურმე მისი ნა-  
თესავეები აყვედრიან: **თათარს რად გაჰყვეცი  
ცოლადაო?!** მაგრამ პატივცემულმა ქართვე-  
ლმა მანდილოსანმა უფრო ხასიათის სიმტკი-  
ცი უნდა გამოიჩინოს:—**რაც უნდა ის სთქვან  
უვიცებმა, —მათი ნათქვამიდან რა გამოვა?!**

კავშირი ქართველ ქრისტიანთა და ქარ-  
თველ მაჰმადიანთა შორის თანდათან მტკიც-  
დება... საქართველოს მიწის დედა-ღმერთი  
მეტად აღტაცებულია, რომ დადგა სასურვე-  
ლი ხანა ამ ორი მოძმის გაერთებისა. . . უვიც-  
თა ბოდვა, ვინც უნდა იყვნენ ეს უვიცნი,  
ქართველი ქრისტიანები თუ მაჰმადიანები, ამ  
გაერთების საძირკველს ვერ გამოუთხრის ძირს

გაჭირვებულს უამს ჩადგმული საძირკველი ერთობისა შეტად მტკიცეა...

ისე არაფერი აკავშირებს მოძმეებს, როგორც საერთო გაჭირვება... და ამ ერთობის საძირკვლის ჩადგმაში, თქვენ პატივცემულო ქართველო ქალო, რომელმაც მეუღლედ აღირჩიეთ ქართველი მუსულმანი, დიდი სამსახური მიგიძღვით.. რაც უნდა სთქვან თქვენმა მონათესავეებმა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

შაბაშ ქალო! შაბაშსაქმევ, მისგან ქმნილია შენი ჩაქუჩი.

### ქართული თეატრის შესახებ

ქართული თეატრის გარეშე ქართული პრესა ახმაურდა და სხვა და სხვა წინა დადებანი ცწკება ქართულ გაზეთებში. ქართული საზოგადოებაც შეიმშუშა, მგონი ვიდრეც შეიკრიბენ, მაგრამ,—

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“.

ჩვენ, სამშობლოს გარეთ მეოფნი ქართველები, გულის ფანტაზიით თეატრს ვაღივებთ, რაც ხდება ქართული თეატრის გარეშე. არი წელიწადი, სამწუხაროდ, მანტრად აღება და ღამათი გვესმის და შეტი არაფერი...

რადესაც „საქართველოში“ თეატრის მეგობრის წინადადება წავიკითხე, იგი მიმეწინა, რომ სისარულით ცხს დაეწიე. შეგონა, ქართული თეატრის შესწავლანი დაუფიქრებელი შეუდგებოდნენ შესანიშნავ წინადადების განხორციელებას. ეს აზრი ბ-ნ თეატრის მეგობრისა ადგილი განსახორციელებელია და სასურველია მალე გამოიცეს მომკვებიანი ბილეთები. თანახმადა ბ-ნ ხელი ს აზრისა (თეატრი და ცხოვრება, № 48), მეგვისრულობ უფრო ძველ აგენტობას, გუდამოღვინეთაც შეუდგები ფულის შეგროვებას, რადონდ მალე გვადიხსოთბილისში გროვულ თეატრს — იმავე გროვულ სკოლას.

გახილ კირვალნიც

ბაქო. 1916 წ.

## სახალხო თეატრის ისტორია

ნაძალადევის თეატრი.

(„თ. ლ. ც.“ № 40)

1898 წლის ნაძალადევის სახალხო თეატრის საქმე კარგად მიდიოდა. გამგეობის წევრნი მუდამ ენერგიულად მუშაობდნენ და უფველი მათგანი ცდილობდა, თავის პატარა ხალხად დაასრულ სტენისთვის რაიმე შეეძინა. ამ სახალხო წარმოდგენების კარგად გამართეს ერთი მადლ ფასიანი წარმოდგენაც, რომლის შემოსავლიდანაც დაასრეს სამრეკლო სკოლა. გრძელ ჩარკვიანი ძლიერ ბევრს ცდილობდა რეკორტ სახალხო თეატრისთვის ისევე ამ სსენებულ სკოლისთვის. მობრკვებივე ახლო-მანლო მცხოვრებნი, მიმართა თხოვნით, აუხსნა ახლად გახსნილი სკოლის მდგომარეობა და სთხოვა დახმარება. მიხანს მალე მიხსწია და სკოლის საქმეც სასურველ დონეზე დააყენა.

უფველ წარმოდგენას ხალხი აუარებელი ესწრებოდა, უადგილობის გამო ბევრი ბრუნდებოდა უკან, ბევრი თეატრის დობეზე ხოხდებოდა; გამგეობის წევრნი დიდ წვალებაში იყვნენ და არ იცოდნენ, რაგორ შეეკავებინათ ეს მოზღვავეული ხალხი, უშლიდნენ დობეზედ ფოფხვას, მაგრამ წესიერება მაინც ვერ მუარდებოდა, რადგანაც თვით საზოგადოებაში იყვნენ ისეთნიც რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ წარმოდგენებისა, ამას გარეუნილობას ეძახდნენ და ცდილობდნენ რაიმე შეეშალათ ხელი. ერთ საღამოს წარმოდგენის მსვლელობის დროს ხალხმა ფიციანს დობე გადახვრია, ხიკა ხალხი. (გრ. ჩარკვიანი კინაღამ არ გათელეს, იოსებ იმედაშვილმა გამოსტაცა ხელიდან გააფთხებულ ხალხს, რომელიც დრიალებდა: ჩვენ საუღარი გვინდა, და არა თეატრი). ჩამოუშვეს თარდა და შესწვდა იმ დამის წარმოდგენა გამგეობის წევრებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ: თავიანთ ენერგია ხალხის დაზიებისთვის შეეწინათ, თუ წარმოდგენებზე ეზრუნათ.

ამ წარმოდგენების მართვაში მონაწილეობდნენ ქ-ნი ხავტასი, ტარელოვისა, რჩულოვისა, ნ. საყვარელიძე, ურუშანოვისა, დიხა ვარშაკიძე, სონა ციციშვილის ასული, სონა ლომიური, თამარ აფხაზიშვილი; კატუბი: აღ. ბაქრაძე, იოსებ იმედაშვილი, დათიკო შველიძე, მიშა თუშქელაშვილი, (სუფლიორად), ის, ძნელაშვილი, გიგო გელიკურა-



შვილი, ივ. ჭავჭავაძე, ივ. ინასარიძე, გიორგი ჯაბაური, რომანოზ სადაშვილი, ბეგლარიძე და დასარე მასიურაძე. ამგვარ წარმოდგენებში არტისტთაგან მოწვევული იყო: ვასო აბაშიძე, ადამ აღმაშვილი და სანდრო თამაზიშვილი. ასე უწავდა ნაძალადევის სახალხო წარმოდგენების შიშველი ამხანაგობა კარგა ხანს.

რადგანაც ამ წარმოდგენებს ხელის შემშლელი ბეჭი აღმოუჩნდა, ამიტომ უკუშობ ხსენებულმა ამხანაგობამ ერთ თავის კრებაზე გადაწყვიტა, ნაძალადევის თეატრის საქმე გადაეტანა სხვა ადგილზე. აქედან ახდითორივე სექციისთვის, რომელიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა და ნაძალადევის ამხანაგობაც დაიშალა.

გ. ჯაბაური.

### ჩემო მადონნავ! \*)

გულ ატოკებით,  
ტკბილ ფიქრთა გზებით,  
ზე-შთაგონებით,  
ციურ ოცნებით,

გაქანდაკებდა მხატვარს ხელი.

მაგრამ ეს გრწამდეს,  
ვინც უნდა გხტავდეს.  
ჩემდენ სიყვარულს

ვერ იგრძნობს აღძრულს  
თუნდ ღმერთი იყვეს, თუნდ რაფაელი

\* \* \*


ვერა, ვერ ვუცქირ გულდამივდებით  
ოცნებით სავეს შენს ცისფერ თვალებს,  
მოვევდებით.. ერთად აღარ ვიქმნებით,  
ეს-ლა მაშფოთებს.. ეს-ლა მაწვალებს..

\* \* \*

მაგრამ რას ვამბობ,  
გრძნობას ვავითბობ  
და მსუბუქ ფრთებით  
გადავფრინდებით  
ჩემო მადონნავ, ოცნების მხარეს.

იქ მე დავხატავ  
ჩვენს უკვდავ სიზმარს,  
იქ კვლავ მოვმართავ  
ჩემს წყრილა ქნარს,

იქ გ-ლ-შივ ჩველავ გრძნობათ სამარეს!  
1910 წ.



\*) ეს ლექსი მიღებულია 1910 წ.

რედ.

### ოპის მსხვერპლი



საერთაშორისო ომმა შეიწირა კიდევ ერთი მრავალთავანი ჩვენი გლეხის შვილი ლადო ჩოდოშვილი, რომელიც 1914 წ. უბრალო ჯარისკაცად გაიწვიეს და მალე პრაპორჩიკთა სკოლაში გადაიყვანეს. ლადომ 1915 წ. პრაპორჩიკობა მიიღო და ავსტრიის ასპარეზზე გაიგზავნა, სადაც მარიაპოლისთვის 18 ბრძოლის ველზე მოკლეს. ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, ზაფხულობით ქიზიყში სხვებთან ერთად წარმოდგენებს მართავდა. დაწვერლო-

პრაპ. ლადო ნიკ. ჩოდოშვილი

ბასტ. მიწნდევდა. დაწერილი აქვს პიესა „სიმართლე გაიმარჯვებს“; დაწვებული ჰქონდა ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „პარტახი“-ს გადაკეთება, და თვითგანვითარებას ეწაფებოდა, რომ უფრო მომზადებული შესდგომოდა ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობას, მაგრამ საუბედურო სიკვდილმა აღარ აცალა. 20 წ. იქნებოდა.

### სასტროს

მოწყვეტილი ვარსკვლავი ხარ,  
ლამის ცას რომ აელვარებს,  
ცის ნამი ხარ სანუკველი,  
დილის ვარდებს რომ ახარებს,  
ხარ იმედი სასურველი,

ზოგჯერ გულს რომ ანეტარებს.  
მას აქეთი, რაც ვაგიცან  
და მოგანდე ჩემი გული,  
ლხინად მექცა მწარე ტანჯვა,  
სასუფევლად—სიყვარული.  
გულს მალამოდ მოველინე,  
შიგ დაჰბადე სიხარული,

ლაქვარდ ცამდის აამაღლე  
დაცემული ჩემი სული!  
მაშ, მოფრინდი, ჩემო ყველავ,  
სასოებით, მარად გელი...  
და შეპყრე ცხოველ ნამად,  
გამინათე არე ბნელი!

სავლეთ აბულაძე





# მარცხოვება

(პ. რაიმონდიდან)

უსაზღვრო ცას, დაქვარდოვანს ოდნავ თვალი მოუჭუტავს,  
და ვარსკვლავი, მსაფაღ ერთა, ამ სივრცეში მკრთალად ბეუტავს  
მყუდროებას მთლად შთაუნთქავს ღვინის გულის ძვერა,  
მსაფაღ ერთგან გამოისმის ნალვლიანი ტლუ სიმღერა.  
გარს ბობოქრობს ცხოვრების ზღვა, უთანგრძნობო, უპირული  
და ამ ზღვაში მსაფაღ ერთი სწუხს და შფოაავს ჩემი სული.

ფ. რუშაველი

## მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

გვ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქარქიველის მიერ

V

ივანივე და მწერალი.

გლეხები ფეხზე ადგებიან და თავს უკრავენ. მწერალი მადლობის ნიშნად მათრახს მიადებს კიზირაკზე)

**მწერალი.** ვინც დღეისთვის იყავით დაბარებული, წადით და ხვალ დილას მოდით.

**1 გლეხი** დევილუპეთ, ბატონო! მუშა კაციზა ავი დღეები ძვირად ღირს.

**უველა გლეხები.** თუ შეიძლება გავგანთავისუფლეთ.

**მწერალი.** მერე თქვენ რომ სულელურად აქ დაცვინდეთ, ჩემი ბრალოა? ხომ დანახეთ დამიგვიანდა, რატომ არ წადით სახლში?

**3 გლეხი.** რა ვიცი, თქვე დალოცვილო, ხან იმას გვიჩივი: რავა გაბედეთ უკითხავათ წასვლაო, სალამოდინ უნდა მოგეცადათო; ხან—რეიზა არ წადითო. რა ექნათ, არ ვიცით!? გვირჩიეთ, დაგვაყენეთ ერთ გზაზე.

**მწერალი.** შენთან სალაყბო თავი არა მაქვს, მოსვენება მესაქიროება; გეუბნებით ხვალ მოდით თუ არა და წადით და თქვენებურად დამიწყეთ საჩივარი, თუ რამეს დამაკლებთ.

(ორ გლეხსა და ბაბაჯეს ვარდა ევეჯა კადის, მწერალიც გასვლას ახირებს, მაგრამ ბაბაჯე წინ უხეჭებს)

**ბაბაჯე.** შენი მუხლები ქირიმე ნუ გამიწყრებრთ.

**მწერალი** რა ვინდა, რა საქმე გაქვს, სთქვი მალე, მოსვენება მესაქიროება.

**ბაბაჯე** ჩემი ოქრუაი წელს სალდათათ ავიწერიათ.

**მწერალი.** მე კი არა—ხელმწიფემ აწერა.

**ბაბაჯე.** რას ბრძანებ, შენი ქირიმე, ჩემი ოქრუასთვის აქ ხელმწიფე როგორ მობრძანდებოდა?!

**მწერ.** ხო, მისი ბძანებით ვწერთ, სულ ერთია; შენ სთქვი რაც ვინდა.

**ბაბ.** (ხვეწნით) მიშეგლე შენი ქირიმე, იქნებ როგორმე გადამირჩინო ჩემი ოქრუაი. შენ ხელს რომ ეკადრება იმისთანა ქალაღი გამიკეთე.

**მწერ.** (ცოტა ფიქრის შემდეგ) ამ შემთხვევაში შეველა ძნელია. ხელმწიფის ვაღაწყვეტილია, ვისაც შეხვდება უნდა წავიდეს. კენქის საქმეა.

**ბაბ.** წვიღე რაც მაბადია და მიშეველე რამე.

**მწერ.** (მოუბრუნდება დარჩენილ გლეხებს) წადით, თქვენ რას უყურებთ, ყრუები ხართ?!

**ერთი გლეხი.** მეც სიტყვა მქონდა, ბატონო, მოსახსენებელი. მოსიკელას თხებს ჩემი ყანა გოუფუტებია, მინდოდა „პროტოკოლი“...

**მწერ.** (აწვევტინებს) წადით ეხლა მე პროტოკოლიზა და თხებიზა არა მცალიან.



**მეორე გლეხი.** მაშრა ვქნათ, ბატონო, „პოპოშნიკი“ მაინც გაგვატანე.

**მწერ.** (მათრახს შოიქნევს და შეჭყვირებს გლეხებს) გეუბნებით წადით!... (გლეხები გადის).

**მწერ.** (გაიფლ-გამოიფლის, ჩაფიქრდება და შემდეგ მიშართავს ბაბაჯეს) სალდათობის საქმე ყველა საქმეზე უმძიმესია. სხვა საქმე რომ იყოს, ადვილათ გიშველით, ეგ კი, როგორც ვთქვი ძალიან ძნელია. (ჩაფიქრდება) მაგრამ ვთქვით მოვახერხებ, რას მომცემთ გასამჯელოს?

**ბაბ.** მიქენი მოწყალება, მიშველე რამე და მთლად ჩვენი ოჯახი რომ წვიდო, გულს არ დაგვაკლდება, ოღონდ ოქრუა კი გადავირჩინე. ხარები მყავს კარგი, დილას რომ ვსთქვა, საღამოს გავყიდი.

**მწერ.** არც ოჯახს წავიღებ და არც ოჯახის მეასედს, ისე, თუ მოგიხერხო და გავანთავისუფლო ოქრუა, ხუთი თუმანი მომეცი.

**ბაბ.** ხუთი თუმანი რამდენი მანეთია, შენი ჭირიმე?

**მწერ.** რა, გქვიარა? ხუთი თუმანი ორმოცთა ათი მანეთია! არ გიღირს ოქრუა ხუთ თუმნად?

**ბაბ.** ვაი შენ ჩემო თავო, რა მიბძანეთ აგი! ოქრუა არ მიღირს ორმოცდა ათ მანეთად! იმაზე დაფიქრდი ბედშავი გავახერხებ თუ არა ამდონს მეთქი.

**მწერ.** რაი, ხუთ თუმანს ვერ მოახერხებენ შენი შვილები? ხუთ თუმანს კი არა, ხუთას მანეთსაც მოახერხებენ, მე კარგად ვიცნობ შენ შვილებს სოფონას და ოქრუას. მე ჯერ სიტყვას ვერ მოგცემ, შემიძლია გიშველოთ თუ არა. თუ კი შველა შეიძლება, ხუთი თუმანს გადახდაც ნუ დაგეზარებათ. ოქრუა ხუთ თუმანზე მეტი ღირს.

**ბაბ.** არა; შენი ჭირიმე, როგორ დამეზარება, ხვალვე გავყიდი ხარებს, ათი თუმანი ღირს, ხუთ თუმნად ველარ გავყიდი?!

**მწერ.** მაშ წადი, ფული დაამზადე. ხვალ მამასახლისს წამოგიყვან და ერთი კეთილ სინდისიერს. ქაღალდებს გავაკეთებ.

**ბაბ.** კი, შენი ჭირიმე, მობძანდით. (ბაბაჯე შეხერდება, მკრე წასვლას აპირებს)

**მწერ.** იცი, რა: ქაღალდის გასაკეთებლად კიდევ მღვდელი იქნება საჭირო, ისიც

მოიყვანეთ და შენ დამახვედრე ფული მოიქცე

**ბაბ.** მღვდელი რაღა საჭიროა, ბატონო!

**მწერ.** საჭიროა; თუ არ იყო—არც გეტყოდით. ნუ იცით სიტყვის შემობრუნება. თუ შენ იცოდი, რაც იყო საჭირო, მე რაღას მკითხავდით.

**ბაბ.** მე რა ვიცი შენი ჭირიმე, ერთი საწყალი ქერივი ვარ, წვითა და დაგვით გამიზრდია ორი შვილი...

**მწერ.** (სიტყვას აწვევტანებს) მაშ ასეთე: ამაღამ კიდევ მოგიფიქრებ ამ საქმეზე. შენ წადი, ფული იშოვნი, მღვდელი უსათუოდ უნდა მოიყვანოთ.

**ბაბ.** კი, ბატონო, შივალ თუ არა, გავატან ჩემ სოფონას ხარებს გასასყიდათ. ხვალ მოგვლით.

**მწერ.** ხვალ უსათუოდ მოვალ. მღვდელი უსათუოდ უნდა მოიყვანოთ.

**ბაბ.** (თან მადის) კი ბატონო, მამა ათანასე ისეთი კეთილი გულის არის, რაც შეუძლია, ყველაფერში დამეხმარება, ოქრუაც ძალიან უყვარს. (გადის)

**მწერ.** (გაიფლ-გამოიფლის ჩაფიქრებული) ძნელი მოსახერხებელი კი არის ეს საქმე. (ფიქრის შემდეგ სიხარულით) მაგრამ არა უშავს—რა, ასეთები მომიხერხებია! დავწერ ქაღალდს, ვითომ სოფონა გერია ბაბაჯესი და არა მისი ნაშობი შვილი, რომ გარდა ოქრუასი მას მარჩენალი შვილი არა ჰყავს. მღვდელს შევამოწმებინებ. მორჩა და ვათავდა. (ბოტა ფიქრის შემდეგ) მღვდელი მოხუცებული, უსწავლელი კაცია, რას გაიგებს. თანაც გულ-კეთილია, (სიხარულით გაიფლ-გამოიფლის). ორი კალმის მოსმით ხუთ თუმანს ჩავიღებ ჯიბეში. ვინ რას გამიგებს? რომ გამიგონ კიდევ, რას დამაკლებენ. ბევრჯელ კიდევაც მიჩივლეს, მაგრამ მაინც ვერაფერი დამაკლეს! ხერხი უნდა, ხერხი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

რას მიქვიან სინდისი, პატროსნება. სინდისიც ფულია და პატროსნებაც. ფული პატროს ღმერთია. გახეთში რამდენიც უნდა იმდენი მიწერონ: მოსე მექრთამეა, ხალხის მყვლეფელიო... გახეთში მჯღაბნელებს ორს კი გა-



ვუკარი ხელი და გავაგზავნე და კიდევ მა-  
ცადონ, ბევრს გავბაწრავ. (ცოტა ხნის შემ-  
დეგ) როგორ მომიწონებს ამ ამბავს ჩემი კა-  
ტო! როცა ბლომით მიუტან ფულებს და ვე-  
ტყვი ეს ჯამაგირის გარეშეა შეთქმ; ყელზე  
მომეხვევა და მეტყვის: „შენი მარჯვენის ქი-  
რიმე შენი“-ო. ჩემი კატო კარგად მყავდეს  
და ვინ რას დამაკლებს, „სლედოვატელიც“  
და პრისტავიც მისი თავყვანისმცემელია.

მსახური ქალბატონი გიცდისთ.

მოსე მწერ. ახლავ (მიდის, შეხედავს მ-  
მასახლისს) ოხ, ალბად ეს დღეს ძალიან განე-  
თქილა, რომ ამდენ ხანს ვეღარ გამოიღვიძა.  
(გადის)

ფ ა რ დ ა .

გრ. საქაროქედელი

(გაგრძელება იქნება)

# ღ ე ღ ე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 49).

ქალიშვილები ფანჯარაში გაიყურებოდნენ  
და უკვირდნენ „მისი.“

— უყურე, როგორ ჩეხავს შეშასა! .  
ომელკო კოვალისთანა ღონიერი ყოფილა.

— რა იცი, რომ მასზე უფრო მძლავრი  
არაა?..

ბარბარემ ფეჩი გაახურა.

— დედა, შეხედე! შეშა მოკრიბა და  
სახლში მიაქვს!— წამოიძახა პარასკამ.

— მერმე რა?

შემოვიდა „აზიატი“ და ფეჩის წინ უშვე-  
ლებელი ხროვა შეშისა დაახრიალა.

— გმადლობ!— გულითადი მადლობა  
გადაუხანდა ბარბარემ.

— ხარაშო!— მიუგო „მან“ თავის დაკვ-  
რით, ტახტზე ჩამოჯდა და უუბლზე ოფლი  
მოიწმინდა.

— მიკოლაოც ესეთი იყო,— ფიქრობდა  
ბარბარე, — იქნება ისიც ეხმარება ვისმეს უცხო-  
ეთში... საწყალი გულის პატრონი იყო, ყვე-  
ლას ეხმარებოდა... ვინ იცის, იქნება ცოც-  
ხლებშიც არ ურევია ეხლა?..

და ღრმად ამოიოხრა. ამოიოხრა „იმანაც.“  
მოწყენილად გამოიყურებოდა; ფიქრებში გარ-

თულიყო და თავი თავისს უზარ-მზარ მუშა-  
ებზე დაეყრდნო.

ყველა უხერხულად გრძნობდა თავსა:  
უცხო კაცია, მაგრამ ღმობიერი ადამიანის  
სახის გამომეტყველება აქვს. როგორ გავაგე-  
ბინოთ რის თქმაც გვინდა. ძალიან კი სწუხს  
რაღაცას,— რა ვიცით? იქნება ჩემს ნიკოლა-  
სავით სახლში დედა და; უფრო უარესი, კოლ-  
შვილი დასტოვა?.. მაგრამ როგორ გამოაჭი-  
თხავ? სადაურად დაველაპარაკო, რომ ვანუ-  
გეშო მაინცა?

კართოფილის წვენი რომ აღუღდა, ბარ-  
ბარემ შიგ ხახვი ჩააჭრა, ღორის ქონი დააურ-  
თო, მერმე წვენი დიდ ჯამში გადმოასხა და  
მაგიდაზე დადგა.

„აზიატი“ მაგიდის მოშორებით გადაჯდა—  
ნახე რა გემრიელია— მიუბრუნდა ბარ-  
ბარე. მოტრია, პური დასჭერი.

თვითონ კი აიღო ახალი კოვზი, ტილო  
გადუსვა. „აზიატს“ მიუახლოვდა და პატივით  
კოვზი გაუწოდა.

— ჩვენთან ერთად ივანეშვი, ღარიბი  
ევანეშვი, მაგრამ კეთილი გულით მოძღვნილი.

„აზიატმა“ გაიღვიძა და მადლობის ნიშ-  
ნად თავი დაუკრა:

— ხარაშო!

— აბა, მოდი, მოდი, ხარაშოვ!— გაიცინა  
ბარბარემ და მასთან ერთად მისმა ქალიშვი-  
ლებმა.

ყველა მაგიდას მიუჯდა. „აზიატი“ ცოტას  
სჭამდა,— ნახევარი ჯამი არ გამოუცლიათ,  
რომ მან კოვზი მაგიდაზე დადო, თავი ჩააქნია  
მადლობის ნიშნად და თავისებურად წამო-  
იძახა:

— ხარაშო!

— კიდევ ქამე!— სთხოვა ბარბარემ.

მაგრამ „მან“ უარი განაცხადა. პატარა  
პურის ნაჭერი აიღო და ნელა-ნელა დეკვა  
დაუწყო.

— იქნება არ მოსწონს?— გამოეხმაურა  
დედას მოტრია.— იქნება ეგენი ამისთანას არ  
სჭამენ?

— რა ვიცი, შვილო!

— იქნება გზაში მოიქანცა ან იქნება  
ავიდაც არი?

— შიშველ-ტიტველი რომაა, ალბად გზა-



№ 50  
ქვემოთაღნიშნული  
გაზეთებისა

ში გაცივდა, — სთქვა ბარბარემ. — შეხედე, როგორ ახველებს!

„აზიატი“ მართლაც რამოდენიმეჯერ ხველა ახრჩობდა, მას ფილტვებიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, თითქოს ცარიელ ქვევრში ჩასძახესო.

ბარბარემ თხელი საბანი მოიტანა, ოთხად დაკეცა და „აზიატი“ ტახტზე დაუგო. თავ-ქვეშ მიკოლას ძველი დაბამული ახალუხი დაუდო და ზედ დასახურავად მიკოლასავე ტუავი შესთავაზა.

— დაწევი, მოისვენე, — სთხოვა დაუპატიუბელ სტუმარსა, — მოვრჩებით საქმესა და ჩვენც დავწვებით.

— ხარაშო, — თავი დაუქნია „აზიატი“. — Хорошо, деда! — დაუმატა.

— ეს რაღაა? — „დედა“? — გაუკვირდა მოტრიას.

— დედა... — „აზიატი“ ბარბარეზე მიუთითა, მერმე სადღაც შორს გაიშვირა თითი და გაიმეორა „დედა“; თან გულზე და თავზე ხელი დასვა.

— მოდი და მიხვდი! ალბად იმათებურად ან დედა, ან ცოლი უნდა იყვეს.

„აზიატი“ ჯერ პარასკაზე უჩვენა, მერმე ბარბარეზე და ისევ გაიმეორა: „деда“!

— დედა ყოფილა! — მიხვდა ყველა. — დედილო, დედას გეძახის შენა! — ერთხმად წამოიძახეს ქალიშვილებმა.

ბარბარეს თვალზე ცრემლი მოადგა.

— აბა, დაწევი, კმარა, დაიძინე! — აღერსიანად უთხრა ბარბარემ თავის ქნვეითა. — ბავშვებო, ჭურჭელი მიაღებეთ და თქვენც დაწევი.

ბარბარე და პარასკა ერთად წამოწვენი ტახტზე „აზიატის“ მოშორებით, მოტრიაკი ფეხზე \*) ავიდა.

ღამით „აზიატი“ რამდენჯერმე დიდხანს ახველებდა, ისე მაგრა რომ მისი ხმა თითქოს ცარიელი ქვევრიდან ამოდებოდა, თან დგებოდა და წყალსა სვამდა.

ჯერ არ გათენებულყო, რომ ბარბარე დილა აღრიან აღგა, ქალიშვილებს ჯერ ეძი-

ნათ, „მასაც“ ეძინა მიკოლას ტყავის ქვეშ მოკუნტულსა.

ბარბარე გარედ გავიდა. ცივი ქარი ქროდა, თან ისე სწვიმდა, რომ აღამიანს ძვალრბილში უჯდებოდა.

როცა ბარბარე გომში ძროხებს თავს დასტრიალებდა, ოთახის კარის გაღება მოესმა. იქით მიხედა და ნახა, რომ „აზიატი“ გარედ გამოვიდა. თავის დაგლეჯილ ახალუხში იკუნტებოდა. თავშიშველა და შიშველა ფეხზე ქალამნებ მოსხმული იყო.

— ე რა ღარიბი ხალხი ყოფილა? — ფიქრობდა ბარბარე: — ნამდვილ გლახებსა გვანან!.. თავზე ქუდი მაინც ეხურათ... ციგნებზე უღარიბესი ყოფილან!

„აზიატი“ ცოტა ხანს კართან იდგა, მერმე ალაყაფის კარს მიაღწა და შემდეგ ქუჩაში გავიდა.

ბარბარე გომიდან გამოვიდა. — მოიცა!.. მოიცა!.. — შეჭყვირა. — ასე ღამიანად ხად მიემგზავრები? დაბრუნდი!

„ის“ მოტრიალდა, თავი ჩაქნია და სთქვა: — ხარაშო!

— რა სულელი ხარ მაგ „ხარაშოთი“ — გულიანად მიძახა ბარბარემ. — კუკუც რო ამოგკრან, იმაზეც „ხარაშოს“ იტყვის სახლში დაბრუნდი, გესმის?

„ის“ გაუნძრევლად იდგა.

— დაბრუნდი მეთქი, — ჯერ აღრეა! სად მიემგზავრები ამისთანა სიცივეში უქულო და უტყაოდ?.. დაბრუნდი! — ამასთანავე ბარბარემ თითით აჩვენა მოდიო.

„მან“ დაუჯერა, მოტრიალდა და ქალს შეჭყვა სახლში. ოთახში შემოვიდა, ტახტზე ჩამოჯდა და სიცივისაგან მოიკუნტა..

ქალიშვილებმაც გამოიღვიძეს და გარედ გავიდნენ. პირველი პარასკა დაბრუნდა და პირის ბანა იწყო. ტოლჩიდან წყალს თვითონ ისხავდა.

„აზიატი“ მიუახლოვდა მას, აიღო ხელში ტოლჩა და ხელზე წყლის დასხმა დაუწყო, რომ უფრო ადვილად დაებანა პირი.

როცა პარასკა პირის ბანას მორჩა, მერმე პირსახოცით პირი შეიმშრალა. ეხლა თვითონ აიღო ხელში ტოლჩა და ხელით ანიშ-

\*) რუსებს და უკრაინელებს ფეხი ისე აქვთ მოწიობილი, რომ ზედ წოლაც შეიძლება.



ნა, ეხლა მე მინდა წყალი დავისხაო.

— ხარაშო! — ჩაიცინა „მან“ და მიუშვირა თავისი ნიჩბისავით უშველვებელი ხელები. ბარბარემ სკივრი გააღო და რალაცის ძეგნა დაიწყო. შემოვიდა მოტრია.

— შეუკვთე, მოტრია, ფეხსა, — მიპართა ბარბარემ. თან ძეგნას განაგრძობდა, — სად მიემგზავრებოდა ასე ციგანისავით უქუდო, არ ვიცი...

ამოიღო ზანდუკიდან მიკოლას ქუდი და წითელი ქამარი, აიღო ტახტიდან მიკოლასივე თბილი დაბამული ახალუბი, წუხელი რომ თავით ამოუღო, და ყველა ე „აზიატს“ მიაწოდა.

— ჩაიცვი. ცივა. გაისეინებ. ფეხსაცმელები კი არა მაქვს, უკაცრავად ვარ!.. მიუთითა „მას“ ფეხებზე და ხელები გააქნია მის ნიშნად, რომ არა მაქვსო.

„მან“ თავი დაუკრა, რალაც თავისებურად სთქვა და გულზე ხელი მიიღო მადლობის ნიშნად.

— Харашо, деда,..

— ჰო, კარგი, კმარა ჩაიცვი რაც არის, — მიუგო ბარბარემ და ფეხს მიუბრუნდა, ქალიშვილები ცნობის მოყვარეობით და იმავე დროს სიმპატიურად, მიუკრძალვებლივ, არა როგორც წინად, შეჰყურებდნენ „აზიატსა“.

— დედილო, ხომ ჰხედავ, კისერი ტიტველი აქვს, პერანგი კი დაჰფხრეწია, გამოეხმაურა დედას მოტრია, — შეიძლება რომ მიეცე ის შალის ყელსაფარი, კისერს მაინც დაიფარავს.

— მიეცი — მოკლედ უპასუხა დედამ. — როცა მოვიცილი მიკოლას პერანგს მოგნახავ და მაშინ მიეცე; დაკვრება სკირია. ახლები მიკოლამ თან წაიღო, ძველები და დაგლეჯილები კი აქ დასტოვა.

მოტრიამ მისცა „აზიატს“ ყელსაფარი და აჩვენა ყელი და გული დაიფარეო. „ის“ მიხვდა და თავის ქნევით აღერსიანად ეუბნებოდა „ხარაშოს“. ჩაიცვა თუ არა, ისევ მოინდომა წასვლა, მაგრამ ბარბარემ გააჩერა და აჩვენა, პატარა დანაყრილი.

— ხომ ჰხედავთ, ბავშვებო, რა ზრდილობიანია; მართალია, შიშველ-ტიტველია,

მაგრამ თვალში არ შემოგვეცქერის, არასოდეს ულობს, როგორც ზოგიერთმა იცის. სინდისიერი კაცი ყოფილა და არა სხვასავით ცუდლუტი და არამზადა.

სახელდახელოდ ისაუბრეს თუ არა, — „აზიატმა“ ბავშვივით ისევ ცოტა ქამა, — „ის“ ქუჩაში გავიდა, სადაც გამოსულიყვენ მისავით აძონძილი მისი თანამეგამულენი, რომელნიც დაბინავებული იყვნენ სხვა ოჯახებში.

მთელ დღეს არ სჩანდა მათი „სტუმარი.“ ახალი ჯარისკაცები სოფლის კანცელარიაში მვიდნენ. იქ მათ რალაცას უკითხავდნენ, რალაცაც არიგებდნენ. მერავე ასადილეს სალდათების სამხარეულოში, რომელიც დანელიას სამქედლოსთან იყო მოთავსებული, და მხოლოდ საღამოს ხანს დაბრუნდა სახლში ბარბარეს „სტუმარი“

ბარბარე შინ არ იყო, — დაბაში იყო საქმეზე წასული; შინ რომ დაბრუნდა, სახლში ნახა „აზიატი“ და ორივე ქალიშვილი.

— დედილო, — მხიარულად მიეგება პარასკა: — იცი, ცოტა რამ გავიგეთ; გვიამბო, რომ დედა დავტოვე სახლშიო. თურმე სამი უმცროსი ძმა ჰყალია და ერთი პატარა, სულ პატარა და. იცი თვითონ ამას რა ჰქვიან სახელად? შია!

— შიო, — გაუსწორა „აზიატმა“,

— როგორ გამოელაპარაკეთ, — გაუკვირდა ბარბარეს.

— აი ესე, მუნჯურად.

შიოც გამხიარულდა. რასაც იტყოდა თავისებურად, ზოგჯერ თვითონაც იცინოდა; თან გამოაჩენდა ხოლმე შავ უღვაშის ქვეით თეთრ, თოვლივით თეთრ კბილებსა. ქალიშვილებსაც უხაროდათ.

იმ საღამოს „აზიატმა“ მათთან ერთად ივანეში, როგორც შინაურმა. შიომ რამდენჯერმე მიმართა ბარბარეს:

— ხარაშო, დედა!

ქალიშვილებსაც ეტყოდა ხშირად;

— ხარაშო მოტრა, ხარაშო, პარასკე!

მან უკვე მათი სახელები დაისწავლა, მაგრამ რალაცა უცნაურად გამოსთქვა მღა

მირ ხარხელი

(დასასრული იქნება)



საბჭოთალოს თეატრის ახალი დარბაზი, (მ. ლებანიძის) აგურთხეს კვირას, ქრისტეშობისთვის 4 შუადღით, ხოლო სადამოთიადგილობრავ სტენის მოყვარეთა მიერ ჩუენი მხტოვანი მსახიობის კოტე უიფიანის მონაწილეობით და ვინარმანიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქმნა ღ. ერასთაფის „სამშობლო“ წარმოდგენის დაწვებამდე იოსებ იქუდაშვიდში (ჟურ. „თეატრი და ცნობერება“ მხრით) დამსწრე საზოგადოებას განუმარტა საერთოდ სასტენო ხელოვნების და კერძოდ სახალხო თეატრის მნიშვნელობა, აუხსნა თუ რა კრძალულებით უნდა ემყრობოდენ ხელოვნების ტაძარს და მიუღობა ამ ახალი სტენის დათუძნება. წარმოდგენაში ადგილობრივ სტენის მოყვარეთა გარდა მონაწილეობდენ: ვ. უიფიანი (სვიმან ჟიანბიქ), ანკარა (ქეთევანი), ვინარმანიძე (ლეონ ხაშიშაშვილი) რომ. სალაფია (შეჭი) და სხვ წარმოდგენას წერილადი ნაკლი ჰქონდა, მგრამ საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილებად დასტოვა. გამგეობის წევრნი (მ. ლებანიძე თავმჯდ. ა. კუხიანიძე—მდივ., ი. ბედინაშვილი—ხაზინად., შ. ჩიტოშვილი, ხ. ბერიაშვილი, შ. ქორქაძე, შ. ოკანოვი) და სტენის მოყვარენი დიდის სიყვარულით ვკიდებინ სექმეს: თითონვე არიან უოყუეგვარო საქმის მომწეობნი, დეკორაციის მხატვარნი (მ. ხეთაგაშვილი), დეკორატორნი (ი. ქორთაშვილი, ა. კუხიანიძე), მოკარანხე (მ. მადრაძე) და სხვ. თეატრი იტეეს 280 სუფამდე. განზრანხვა აქეთ გადერეკად მოადგან. თეატრში, შედარებით, მეტი წესიერება იყო. თურც თეატრი გაჭედილი იყო, ბეერი კარედ დარჩა. წარმოდგენა გათავდა 12 ნახ. ს. შემდეგ გაიმართა საამხანაგო ნადიმი, რომელსეუდც ბეერი საგულისხმო სიტყვა ითქვა — საზოგადოების ვადია ამ სტენის მოყვარეთა საქმიანობას ხელი შეუწეოს.

კენტი.

ბრ. ჩამიშვილის ახალი პიესა „ტკუ მხარული“ მართლად-და მხარული გამოდგა: თით-

ქმის მთელი წარმოდგენის დროს (ბარე საათი გაგრძედა) დარბაზში ხარხარა იყო. პიესას რო ჩამოშორდეს გატანურბეული ადგილები, ზო. გიერთი და იგივობა და იმ ამბის მოთხრობაში, რაიცა მიუყრბეულთა წინაშე ხდება. ვოდევილი ერთ სუკეთესო ნაწარმობად ჩაითვლება. საუცხოო ხატება შექმნა ს. რომანიშვილმა (ტკუ მხარული); შესრულების მხრით ცოტა ამღაშებდენ; უფრო ბუნებრივად რომ შეასრუდონ — პიესა მოიკებს. სასურველია შისი გამოერება.

6. ბარათაშვილის სალიტერატურო დილა


თბილისის 1 ვეთა გიმნაზიაში არსებულმა ქართველ მოწაფეთა წრემ გამართა ქრისტეშობისთვის 4. დილა შესდგებოდა 2 განყოფ. წაიკითხეს მგოსნის ბიოგრაფია, რეფერატი, რომელშიაც შეენენ მის პოეზიას, ლექსები და სხვათა შორის, შეასრულეს რამდენიმე ეროვნული სიმღერა. აღსანიშნავია გ. მალაშვილის მიერ. შესრულებული „შენ გეტრფი მარად“ და „მხოლოდ შენ ერთს.“ საერთოდ დილამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. დავწრენ გ რეშე პირნიც ამნაირი დილების მართვა მოწაფეთა შორის ფრად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალო, რადგანაც ჩენი მოზარდი თაობა გაეცნობა ჩვენს წარსულს და ასტდება გადაგვარების საზიფათო გზას. კ. ძ—ე.

სახალხო სახლში

ახალხო სახლ არს. წრემ კვირას ქრისტეშობისთვის 4 კ. შათირიშვილის ჟეისორობით წარმოდგინა ოსტროვსკის 5 მოქ. დრამა „შემოსავლიანი ადგილი.“ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, მაგრამ მაინც რაღაცა უფერულობა ეტყობოდა, კარგები იყენენ: ნ. გოციბიძე (აკიმ აკიმიჩ), ვ. ნინიძე (ვიშნევი,) ს. რომანიშვილი (ბელოგუბოვი), ს. პეპანოვი (ვასილ ნიკოლოვი). არა უჭირდა რა: ა. მატარაძისას (ანა პავლოვნა), ენ. იანქაშვილის (პოლინა). დანარჩენებიც ხელს უწყობდენ პიესის მსვლელობას. საზოგადოება ბლომად დაესწრო. მაგრამ ჩვეულებრივი უწყს-რიგობა მანც სუფევდა დარბაზში, ზოგორც მაგალითად უდროვოდ ბავშვის ჩხვილი და ეივილ-ხივილი ქანდარიდან. როგორცა სჩანს, ამ მოვლენას ჩვენში ბოლო არ ედება სირცხვილი ჩვენთვის! ძია.

წერილი აგბევი

ძაკითულ დრამატიულ საზოგადოებარის წლიურტი კრება გაიმართა ქრისტეშობისთვის 6 სამეურნეო ბანკის დარბაზში დიდი ხალხია თანდასწრებით, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული, მდივნად სვ. ქვარინი თავმჯდომარემ კრების დასაწყისში დაახ.სიათა განხვენებული ეკ. ვ. ს.რაჯიშვილისა და შისი მეუღლის დავითის ამაგი ქართული მრეწველობისა და განსაკუთრებით თეატრის წინაშე და კრებას,



სთხოვა—ეკატერინეს ხსოვნისათვის ფეხზე აღდგომით პატივი ვკითხვით. ფეხზე აღდგომითვე პატივი სცეს პოლონელთა მწერლის პ. სენკევიჩის ხსოვნას. შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება. კამათი გამოიწვია არ. ავალიშვილის მიერ გაფლანგულმა 2337 მ. 11 კ., რომლის ნაწილი 1300 მ. გამგეობას თავის მხრით შეუვსია, ხოლო დანარჩენის 1037 მ. 11 კ. შესახებ გამგეობამ ბ. შ. ლვა მკსიშვილის პირით განაცხადა—ამასაც ჩვენ გადავიხდით. კრებამ დაადგინა: ყამგეობას უკანვე დაებრუნოს არ. ავალიშვილის მიერ გაფლანგულ ფულში შემოტანილი 2300 მ., და მეორე ნაწილიც არ მიიღოს. გამგეობამ ამ პატივიცემისთვის კრებას მადლობა გადაუხადა და უკვე გადახდილი საზოგადოებასვე დაუტოვა. მოხსენება წაკითხა გამგეობის წევრმა მდივანმა ი. გუდევანიშვილმა გამგეობის განვლილ საქმიანობის და მომავალ მოქმედების შესახებ. მოხსენების შესახებ კამათი არ გათვებულა. დიდი კამათი გამოიწვია თეატრის აღდგენის საქითხმა. კრებამ დაადგინა: ერთი თვის განმავლობაში მოწვეულ იქმნეს თეატრის ამგები კომიტეტი და ეთხოვოს ფულის შეგროვების საქმე გააცხოველოს. რადგან ყველა აღძრული კითხვის განხილვა ვერ მოასწრეს, კრების გაგრძელება შემდეგისთვის გადასდეს.

➤ **ახალი პიესა** მიხ. ბოჭორიშვილისა „ვენების ბრტყალეში“ ავტორმა ხელმეორედ დიმიუმ ვა. პიესის ბეჭდავს მომავალი წლიდან დაიწყებთ.

➤ **ძარტი. დრამ. დასის** მიერ ხვალ, ორშაბათს, ქრისტეშობისთვის 12 სახალხო სასლში წარმოდგენილი იქნება „ურის სისხლი“.

➤ **ნ. ბარათაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად ქალაქის გამგეობამ, ხმოსან შ. მესხიშვილის განცხადების თანახმად დაადგინა: საგიმნაზიო ქუჩას, ერთ სკოლასა და სამკითხველოს ეწოდოს ნ. ბარათაშვილის სახელი.

➤ **სომეხთა მოაზრება-მწარალი** ს. თარაიანი გასულ კვირას დაკრძალეს ბოჯივანქის გალავანში. დავსწრენ სომეხთა სხვადასხვა დაწესებულებათა და პარტიის წარმომდგენელნი, მიმართულების განურჩევლად, აგრეთვე დიდძალი ხალხი. ვანქისტაძართ. ნ სტყეები წომოსტყვეს 1) სომეხ-პროტესტანტთა წინამძღვარმა, 2) იოსებ იმედაშვილმა („თეატრი და ცხოვრების“ მხრივ), 3) მსახიობმა არუთინიანმა და 4) ილ. ნაკაშიძემ. ს მარესთან—„გრაფარის“ რედაქტორმა, ყარადერვიშმა და სხვებმა,

➤ **შურ.** „თეატრი და ცხოვრება“ სილნლი სამკითხველს ოთხი თვით გაუწერა მიხ. ჩოდრიშვილმა ლადო ჩოდრიშვილის სახსოვრად.

➤ **სახალხო თეატრის** მოკარნახემ მიხვილ. თუშმელიშვილმა, რომელიც 23 წელია რაც სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში მუშაო ს, მოკარნახობას თავი დაანება. მეტადსაწყენია, რომ ასეთი უჩინარი, მაგრამ დიდათ სასარგებლო მუშაის ნაღვაწი

აჩაფრით აღნიშნეს. მ. თუშმელიშვილს სახალხო თეატრის აღორძინებაში დიდი ამ. გი მიუძღვის, და პირველათ წელიწადს სრულიად უშრომის ფასოდ გამსახურებოდა. ჩამოშორდა აგრეთვე ანკარა და ა. შეტრეველი, რომელნიც თვალსაჩინო ძალებად ითვლებოდნენ.

➤ **საბუჩთალოს თეატრში დღეს** წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს—ველარ ნახავს“ წარმოდგენის დაწყებამდე წარმოითქმის მცირე სიტყვა ა. ცაგარლია და მისი შემოქმედების შესახებ.

➤ **მკ. იმ. სარაჯიშვილის** ხსოვნის პატივსაცემლად ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობას განუზრახავს ყოველ წლივ თითო საღამო გამართოს ხოლმე და შემოსავალი ქართველ მსახიობთა დამხმარე ფონდს მიუძღოს.

➤ ოპერა „სეველიელი დალაქი“ ნ. გ. ქართველიშვილის ლობარობით, ქართულად, რუ ულ. და იტალიანურად, წარმოდგენილი იქნება „ახალ კლუბში“ ს. შობლო, ქრისტეშ. 13. მთავარ როლებს შეასრულებენ: ფიგაროს-ბროჯი, როზინას-კალანდაძე აგასოვისა, ბანილიოს-აგასოვი.

➤ პოლონელთა სახლში მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება „პატარა კახი“.

ხარფუხის კლუბი ქართ. დრამ. დასმა ქრისტეშ 7 წარმოადგინა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

## განცხადებანი

**სახალხო სახლი** ორშაბათს ქრისტობ. 12 1916

ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ. წარმოდგენილი იქნება სახელგანთქმული პიესა ან. ბენშტეინისა

## „ურის სისხლი“

**მონაწილეობენ:** ქ-ნი ნ დავითაშვილი; ბ-ნი: ი. ხარდალიშვილი, გ. იშხნელი, ნ. გვარამი, გ. ფრონის-პირელი, ი. მინდიაშვილი, ვ. ბარველი, ნ. ციციშვილი, ნ. ჩაგუნავა, ი. თარალაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ფასი: 1-70 კ. 20 კ.-დგ. რეჟისორი \* \* \* აღმინისტრ დრამ. საზ-ისა.

20 ქრისტეშობის-თვის თბილისში გა-**„საშორონი“** მოვა სახატელო-სალიტ კრებული. კრებულში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერალ-კრიტიკოსები. რედაქტორი გ. ლეონიძე გამომც. კანტ. „განათლება“

კონსერვატორის პროგრ. ვაშხაძე **სპრიპკაზე** **ილი ოქუხუღი** მართი წერლით: Орхевский пер. д. 75

# V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო-წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ კვირეული შუკნალი ორ კრემიას

## თეატრი და სსოპრებ

(წელიწადი მეხუთე)  
გამოვა სრული პროგრამით,

აკაკის „ნაკვეთები და ბრძნული სიტყვები“ ვტორის სურათებით ფაქსიმილე და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „ჩემი უალი აზრები“ ვტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით. უკვე ცნობილი რედაქციით

შუკნალი პატივითა გარეშად, კომპრენსიული მიმართულებას

შუკნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამხმარებლები და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნება, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

შუკნალის ფასი ორგვე პრემიით წელიწადში დარს 8 მან. ნახევარის წლითა 4 მან. 50 კაპ. თითო ნაშრომს უკვე 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ნებენისთვის 2 ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მალათვის კუნძული, № 1, გორონცივის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлис, рад. „Театра дѣтѣвъ“ Иосифу Империану. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედა შილისა

### ხალხო სახლში კვირას, 11 დეკემბერს

ვეფხო-ფშაველა გამართავს ფრიად საყურადღებო სამხატვრო-სალიტერატურო-სამუსიკო დილას ოთხის განყოფილებით: 1 ლექცია „ვეფხო-ფშაველა და ყაზბეგი“ წაიკითხავს დ. კასრაძე 2 „სიმართლე“ ერთ მოქმ. ვედეკ. წარმოდგენილ იქნება სახალ. სახლ. არს. სახ. წარმ. მმართველ წრის მიერ. 3 ლექსებს წაიკითხვენ ახალგაზრდა ცნობილი მგოსნები 4 სამუსიკო განყოფილება (მონაწილეობენ გამოჩენილი მომღერალ-დამკვრელნი) დაწერილებით იხილეთ პროგრამებში. დასაწყ. 12ს. გამგე გოგლი ლეონაძე.

### ხარფუხის საზოგადო კლუბი

- (მინეილის პროსპექტზე, № 163)
- ერთი კვირის პროგრამა ქრისტეშ 11-18.
- ორშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.
- სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.
- ოთხშაბათი—ქართული წარმ. სიმ. ორკესტ.
- ხუთშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკესტრი.
- პარასკევი—სიმებიანი ორკ. წარმოდგენა
- შაბათი—სიმებიანი ორკესტრი.
- კვირა—სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

რედ-გამ. ანნა იმედაშვილისა

### ახალი კლუბი 1 კვირის პროგრამა ქრისტე. 11-18

- კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.
- ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
- სამშაბათი—ქართ. ოპერა „სვილი. დოლაქი“
- ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
- ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
- პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.
- შაბ.—რიადნოვის სალაპო
- კვირა—რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.
- დასაწყისში: კონცერტებისა სალამ. მ. სალამ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. სალ. 8 1/2 საშესას. ფასი მანდილოსნ. 50 კ, მამაკაც. 1 მ.



Доаволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“